

ახალი პოლიტიკური ცენტრი და ახალი შანსი

2011 წლის შემოდგომა მეტად დატვირთული აღმოჩნდა საქართველოს პოლიტიკური ცხოვრებისათვის. შეიძლება ითქვას, რომ საზოგადოებრივი აღქმისათვის ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსვლამ ისეთივე მასშტაბის რეზონანსი გამოიწვია, როგორც 2008 წლის კონფლიქტმა რუსეთთან. თავად ის გარემოება, რომ მთელი ქვეყანა, მიუხედავად ქართველი ბიზნესმენისადმი თავისი დამოკიდებულებისა, მის შესახებ საუბრობს, უკვე თავისთავად მნიშვნელოვანი ფაქტია.

უშუალოდ ივანიშვილის პერსონის შეფასება მის მომხრეთა თუ მოწინააღმდეგეთა მიერ ცალკე თემაა. მომხრეთა ნაწილი მას ქვეყნის ახალმოვლენილ მხსნელად მიიჩნევს, ხოლო ზოგის აზრით მისი გამოჩენა საქართველოში ახალი ტიპის ლიდერის გამოჩენაზე მიუთითებს. ასევე განსხვავებულია მოწინააღმდეგეთა შეფასებაც: რუსეთის აგენტი, საქართველოში ბოროტი განზრახვით შემოგზავნილი ვერაგი მტერი, ჭკვიანი გაიფერა, რომელიც ამავე დროს სულელი და "მდაბია" და ა.შ. ზოგი ოპოზიციის გასული წლების ლიდერთან, ოლიგარქ ბადრი პატარკაციშვილთანაც ავლებს პარალელს.

ერთი რამ შეიძლება დანამდვილებით ითქვას: ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში შემოსვლამ დაარღვია საქართველოში არსებული ერთფეროვანი (გარდისფერი) პოლიტიკური იდილია. საზოგადოების ყველა ჯგუფი (საჯაროდ თუ საკუთარ თავთან) თანხმდება, რომ ქვეყანაში დაიწყო ახალი რეალური ძალის ფორმირების პროცესი, რომელიც, ნებისმიერ შემთხვევაში, სერიოზულ კონკურენციას გაუწევს სახელისუფლებო გუნდს.

რა პარალელები შეიძლება გაივლოს საქართველოში დღეისათვის არსებულ სიტუაციასა და დამოუკიდებლობის პერიოდში არსებულ წინა პოლიტიკურ დაპირისპირებებს შორის?

ბოლო 20 წლის მანძილზე ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ კრიზისებს – იქნება ეს 1991-1992 წლების სახელმწიფო გადატრიალება და სამოქალაქო ომი, გასული საუკუნის 90-იან წლებში "მოქალაქეთა კავშირსა" და "აღორძინებას" შორის არსებული დაპირისპირება თუ 2003 წელს შევარდნადის მმართველობის დასასრული ხავერდოვანი რეკოლუციის გზით – განაპირობებდა სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფების სურვილი, როგორმე მოეპოვებინათ ან შეენარჩუნებინათ ხელისუფლება.

ჩემი აზრით, ამ კუთხით თუ შევხედავთ, დღევანდელი სიტუაცია უფრო 1988-1990 წლების მდგომარეობას გვაგონებს. სახეზეა გარკვეულწილად "ზეპოლიტიკური" ხასიათის დაპირისპირება, როცა ახალი თუ ძველი პოლიტიკური ძალების მხარდამჭერებს არა მხოლოდ მერკანტილურ-პოლიტიკური, არამედ ბევრად უფრო ღრმა მოტივაციები ამოძრავებთ. ხელისუფლების ოპონენტები, რომელთა რიცხვი ქვეყანაში აშკარად აღემატება მომხრეთა რაოდენობას, ბიძინა ივანიშვილს არსებული სისტემის შეცვლის ერთადერთ სერიოზულ გარანტიად აღიქვამენ.

ბოლო წლებში ქვეყანაში გამეფებული საყოველთაო აპათიის შემდეგ, დაუკვირვებელი თვალითაც შეიძლება დავინახოთ მოქალაქეთა გამოცოცხლება – პოლიტიკაზე კამათი მიმდინარეობს ქუჩაში, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, ტელეფონით საუბრისას, ოჯახებში. ადამიანები უკვე ღიად გამოთქვამენ თავიანთ მოსაზრებებს. თითქოს სადღაც გაქრა შიში იმისა, რომ პოლიცია და უშიშროების სამსახურები ყველაფერს ისმენენ და მყისიერად გაატარებენ სადამჯელო ღონისძიებებს სხვაგვარად მოაზროვნეთა მიმართ.

საზოგადოებრივი განწყობის ასეთი მკვეთრი ცვლილება უმეტესწილად თავად ხელისუფლების საქმიანობის შედეგია: 2003 წლიდან მოყოლებული საქართველოში თანდათანობით იზღუდებოდა სივრცე საჯარო დებატებისათვის; სახელმწიფოს მიერ სრულად კონტროლირებადი მედიასაშუალებები ძირითადად ხელისუფლების პიარით და ძალოვანი სტრუქტურების უძლეველობის მითით შექმნით იყვნენ დაკავებულნი; განსხვავებული აზრის გამოთქმა, როგორც წესი, რუსული სპეცსამსახურების აგენტურის ქმედებად მიიჩნეოდა; ხელისუფლების მიერ სრულად ან ნაწილობრივ კონტროლირებადი რეალური თუ ფსევდოოპოზიციური გაერთიანებების არსებობა თუ დამოუკიდებელი სასამართლოს არარსებობა მოქალაქეთა მნიშვნელოვან ნაწილს საკუთარი უფლებების დაცვის სურვილს უკარგავდა.

ხელისუფლების ეს ქმედებები დღეს სწორედ ხელისუფლებისათვის წარმოადგენს პრობლემას. ასპარეზზე გამოდის ახალი ძალა, რომელიც პოლიტიკური დებატების რეჟიმში ოპონირებას კი არ აწარმოებს, არამედ დარწმუნებით აცხადებს, რომ ის უფრო ძლიერია, ვიდრე არსებული

ხელისუფლება და მისი ხელისუფლებაში მოსვლა გარდაუვალია. შემთხვევითი არაა, რომ ახალი პოლიტიკური ძალის წარმომადგენლები თავიანთ საუბრებში სულ უფრო და უფრო ხშირად საუბრობენ დღევანდელ ხელისუფლებაზე, როგორც ქვეყნის გუშინდელ დღეზე.

კიდევ ერთი ფაქტორი, რაც ახალი ძალის სიძლიერეზე მეტყველებს, ისაა, რომ ივანიშვილი ყველა ქმედებით (ნეგატიური დამოკიდებულება ქუჩის აქციებისადმი, მისი ურთიერთობა დიპლომატიურ კორპუსთან) აჩვენებს, რომ იგი "დამოუკიდებლად" მოახერხებს გამარჯვებას. საზოგადოება, რომელსაც 2007-2009 წლების საპროტესტო გამოსვლების უშედეგებამ საკუთარი უსუსურობის განცდა ჩაუნერგა, ხედავს, რომ მას არ თხოვენ კვლავ გარისკოს საკუთარი კეთილდღეობით, მომავლითა და სიცოცხლითაც კი თავისი ფავორიტის დაცვისას. ახლა უკვე არსებობს სერიოზული ფინანსები, პოლიტიკური პარტიების (მათი ნაწილის მაინც) შემაკავშირებელი პირი, საერთაშორისო კავშირები და გამოცდილება, რომელიც რიგით მოქალაქეს თუ ყველა პრობლემას არა, მათ დიდ ნაწილს მაინც მოუგვარებს.

ამრიგად საქართველოში იქმნება ახალი პოლიტიკური ცენტრი, რომელიც აერთიანებს ყველა უკმაყოფილო ფენას (სოციალური რევანშისათვის განწყობილი მარგინალიზებული მოსახლეობა; პოლიტიკური და ეკონომიკური ჯგუფები, რომლებმაც სააკაშვილის მმართველობის პერიოდში დაკარგეს პრივილეგიები; უმუშევრები; პენსიონერები; ორთოდოქსულად განწყობილი რადიკალი ნაციონალისტები; ლიბერალურ-დემოკრატიულად განწყობილი ინტელექტუალები; საშუალო და უფროსი ასაკის ადამიანები და ა.შ.).

სიტუაცია აშკარად წააგავს გასული სუკუნის 80-იანი წლების სურათს – ადამიანები აქტიურობენ არა ერთჯერადი ფინანსური სარგებლის მისაღებად, არამედ საკუთარი შეხედულებებიდან გამომდინარე. საგულისხმოა, რომ პოლიტიკაში მოსვლის შემდეგ ბიძინა ივანიშვილს თითქმის არფერი დაუხარჯავს, ისე იქცა საზოგადოების აბსოლუტური უმრავლესობის აღიარებულ ლიდერად. ასეთი რამ საკმაოდ იშვიათია გარდამავალი დემოკრატიის ქვეყნებისათვის, სადაც პოლიტიკური ძალია სიძლიერე იმით იზომება, თუ რამდენად მოახდენს იგი ელექტორატის დაშინებას ან ერთჯერად მოსყიდვას.

ბუნებრივია, ვინაიდან ივანიშვილს არსებული მდგომარეობით უკმაყოფილო ფაქტიურად ყველა ინტერესთა ჯგუფი თავისი ოცნებების და სურვილების განმახორციელებლად მიიჩნევს, ახალი ძალის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ბევრს გაუჩნდება იმედგაცრუების გრძნობა. დღევანელი ხელისუფლების კურსით უკმაყოფილო, მაგრამ ხშირად ურთიერთსაწინააღმდეგო შეხედულებების მქონე ყველა ადამიანის ყველა იმედის განხორციელება თეორიულადაც კი შეუძლებელია.

თუ რეალურად რას შესთავაზებს ბიძინა ივანიშვილი ქართულ საზოგადოებას, ეს ჯერჯერობით არავინ იცის თავად ივანიშვილის გარდა. ასეთი სიტუაცია თავისთავში საკმაოდ დიდ საფრთხეს შეიცავს, შესაძლოა ორი-სამი წლის შემდეგ საზოგადოების დიდი ნაწილი კვლავ იმედგაცრუებული აღმოჩნდეს. ამავე დროს ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თავად ახალი პოლიტიკური ფიგურის მთელი რიგი განცხადებები და მისი პოლიტიკური სიმპათიის საჯარო დაფიქსირება აჩენს იმედს, რომ საქართველოში შესაძლებელია შეიქმნას მრავალცენტრიანი პლურალისტური დემოკრატიული სისტემა.